სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030660960744219

18 / მარტი / 2019 წ. **თბილისი #06-64/ო**

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის #06-49/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 25 თებერვლის #06-49/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ლაბორატორიული კონტროლის და ნახველის ლოჯისტიკის“ კომპონენტს დანართი #38 - ის შემდეგ დაემატოს თანდართული დანართი #38[1] (ლაბორატორიული კონტროლის და ნახველის ლოჯისტისტიკის კომპონენტის ფორმები) და დანართი #38[2] (ტუბერკულოზის ლაბორატორიული მართვის პროგრამის საანგარიშგებო ფორმის შევსების ინსტრუქცია).
2. დაევალოს ცენტრის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს (ნ. ქავთარაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების/ კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე